საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№2 პერიოდული გამოცემა 2014 წლის თებერვალი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

1. სახალხო დამცველის მისალმება

თებერვალი ემოციურად და მოვლენებით დატვირთული თვე აღმოჩნდა. მოქალაქეთა მომართვიანობის მაჩვენებელი ისევ მაღალია, რაც ერთი მხრივ, მიანიშნებს, რომ მოქალაქეების ცნობადობა საკუთარი უფლებების შესახებ იზრდება და მეორე მხრივ, ხაზს უსვამს დარღვეული უფლებების შესახებ ყოველგვარი შიშის გარეშე შეტყობინების თავისუფლებას. დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული ინსტიტუციების გასაძლიერებლად ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლი, ამასთან, მოქალაქეების ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.

თებერვლის თვე იმითაც განსაკუთრებულია, რომ პირველად სახალხო დამცველის, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი მთავარი კონსტიტუციური ინსტიტუტის ისტორიაში, საფუძველი ჩაეყარა საჯარო დებატებს. აღნიშნული პროექტი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად, ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით ხორციელდება. ვიმედოვნებ, ყოველთვიური დიალოგი უზრუნველყოფს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა გამოწვევების შესახებ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ფართო განხილვებს; რაც უდავოდ წაადგება მონაწილეობითი დემოკრატიისა და საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების პრინციპების დამკვიდრებას.

პირველი საკითხი, რომელიც მთელი სიმწვავით დადგა ჩემს წინაშე, ხუდონის ჰიდრო-ელექტრო სადგურთან დაკავშირებული ვნებათაღელვა იყო. საზოგადოება თითქოს ორ ნაწილად - ჰესის მშენებლობის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად დაიყო. ეს არ არის პროგრესის, სინათლისა თუ ეროვნული თვითმყოფადობის და ბუნების შენარჩუნების მომხრეთა დაპირისპირება. მთავარი პრობლემა, ვფიქრობ, დი-

შინაარსი:

1. საქართველოს სახალხო დამცველის მისალმება 1
2. მთავარი მოვლენები 3
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და შუამდგომლობები 5
4. საკონსტიტუციო სარჩელი 8
5. მიმდინარე მოვლენები 9
6. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების საქმიანობა 12
7. სხვა სიახლეები 12
8. სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები 14
9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 15
10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 16
11. კონტაქტი 16

ალოგის ნაკლებობაა, ინფორმაციის სიმწირეა. ჩემი პირველი დებატი სწორედ ხუდონჰესს მივუძღვენი. ერთ ჭერ ქვეშ, ერთ მაგიდასთან მოვიწვიე დაპირისპირებული მხარეები. რა თქმა უნდა, კონსესუსი არ შემდგარა, მაგრამ თავად ამ ღონისძიებამ ცხადყო, რომ აუცილებელია შესაბამისი სახელისუფლებო სტრუქტურების მეტი კომუნიკაცია ხალხთან, რათა საზოგადოებაში არსებულ ყველა ლეგიტიმურ კითხვას გაეცეს ამომწურავი პასუხი და მოქალაქეებს ჰქონდეთ რეალური განცდა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; რომ ხელისუფლება უსმენს საკუთარი მოსახლეობის აზრს და გულწრფელი, გახსნილი ურთიერთობებით ცდილობს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.

თებერვალში განსაკუთრებულად მტკივნეულად გამოჩნდა მაღაროებსა და საბადოებზე მომუშავეთა პრობლემები; დამოკიდებულება დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის, შრომითი კანონმდებლობის ნაკლოვანებები. ამ საკითხების მოგვარება იოლი არ იქნება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში სრული ლიბერტარიანული ეკონომიკური პოლიტიკა ინერგებოდა, რამაც შრომით ურთიერთობებში უთანასწორობა ჩამოაყალიბა და დასაქმებულებს მინიმალური შრომითი უფლებებიც კი არ დაუტოვა. დადებითად, თუმცა არასაკმარისად ვაფასებ საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებულ ბოლოდროინდელ ცვლილებებს, რადგან სხვადასხვა საწარმოებში მიმდინარე გაფიცვებმა ნათლად აჩვენა, რომ ქვეყანაში არ არსებობს კოლექტიური დავების მოლაპარაკებებით გადაწყვეტის ინსტიტუციონალიზებული სისტემა, მედიაციის სამსახური, რაც ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოს ერთიანი მექანიზმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია. სამწუხაროდ, სანამ არ ჩავედი კაზრეთში, გაფიცულებმა ვერაფრით მიიქციეს მთავრობის ყურადღება. არადა, მათი მდგომარეობა სავალალოა. ტყიბულში, ჭიათურაში, კაზრეთსა და კიდევ უამრავ სხვა ობიექტზე დასაქმებულები სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ გარემოში, მიზერული ანაზღაურების სანაცვლოდ მუშაობენ. დასაქმებულთა პრობლემების გადაჭრის გზების ძიება — ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა დღევანდელი ხელისუფლებისათვის და შესაბამისად, მთავრობამ, პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში, დაუყოვნებლივი ნაბიჯები უნდა გადადგას ქვეყანაში შრომის უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი სტანდარტების შესაქმნელად.

როგორც წინა თვეებში, თებერვალშიც ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს პატიმართა სათანადო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა წარმოადგენდა. მედიისა და საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სასჯელაღსრულების მე-14 (გეგუთის) დაწესებულებაში პატიმართა მასობრივ პროტესტს, რაც შიმშილობასა და თვითდაზიანებებში გამოიხატა. პატიმრების უკმაყოფილება, მათი განმარტებებით, მე-14 დაწესებულებაში ადმინისტრაციის მხრიდან ორი მსჯავრდებულის ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, ასევე ციხეში არსებულ არადამაკმაყოფილებელ საყოფაცხოვრებო პირობებს მოჰყვა. შიმშილობის დაწყებიდან მის დასრულებამდე ჩვენი ოფისი მუდმივ რეჟიმში აკვირდებოდა პროცესს, მეც ჩავედი და შევხვდი მსჯავრდებულებს, მოვისმინე მათი გულისტკივილი.

ამ თვეში აქტიურად განიხილებოდა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის შექმნა ჩემი, როგორც სახალხო დამცველის პოსტზე კანდიდატის, ერთ-ერთი მთავარი ინიციატივა იყო 2012 წლის დეკემბერში. სასიამოვნოა, რომ ეს ინიციატივა რეალურ კონტურებს იძენს. თუმცა, მოგვიწია მთავრობის გაკრიტიკება დაჩქარებული ტემპის გამო. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მიღება, არამედ უშუალოდ პროცესი და ამ პროცესში საზოგადოების მაქსიმალურად მეტი ჩართულობა.

ჩემ შესავალ სიტყვაში მხოლოდ რამდენიმე პრობლემა მიმოვიხილე, თუმცა ყველა ის საკითხი, რაზეც სახალხო დამცველის აპარატი მუშაობს, მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია.

წინამდებარე ბიულეტენი თებერვლის თვეში სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობას ასახავს. ბევრი რამ პრესრელიზებით იცით და ჩვენ ვებგვერდზეც არის განთავსებული, ზოგიერთი აქტივობის შესახებ მედია საშუალებებით შეიტყვეთ, ბევრს მხოლოდ ახლა, ამ ბიულეტენის მეშვეობით გაიგებთ. თუმცა, მერწმუნეთ, ბევრი რამ გახმაურების, გაშუქების გარეშე კეთდება. ჩვენთვის, ადამიანის ყოველი უფლება პრიორიტეტულია და შესაბამისად, მცირე ადამიანური რესურსების მიუხედავად, ვცდილობთ არავინ დაგვრჩეს უყურადღებოდ. მინდა მადლობა გადავუხადო აპარატის თანამშრომლებს, რომლებიც გულისხმიერებით ეკიდებიან მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს და ადამიანის უფლებათა დარღვევის თითოეულ ფაქტზე დროულ და ეფექტურ რეაგირებას ცდილობენ. ასევე, მსურს გულწრფელი მადლიერება გამოვხატო იმ უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც დიდ სამსახურს გვიწევენ მათი გამოცდილების გაზიარებით, გვეხმარებიან აქტუალური თემების ადვოკატირებაში და ობიექტური კრიტიკით მოდუნების საშუალებას არ გვაძლევენ ამ რთულ გზაზე.

2. მთავარი მოვლენები

2.1. ხუდონჰესის მშენებლობის კანონიერება და ადამიანის უფლებები

საქართველოს სახალხო დამცველი გასული წლის სექტემბრიდან სწავლობს ხუდონჰესის მშენებლობის კანონიერების საკითხს და მიმდინარე პროცესებზე ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით მუდმივ მონიტორინგს ატარებს.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ერთი მხრივ, სვანეთის საზოგადოებისა და ხაიშის თემის, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და ინვესტორი კომპანიის პოზიციები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და ინვესტორის წარმომადგენლებს ხაიშის მოსახლეობასთან შეხვედრის თხოვნით მიმართა, თუმცა, აღნიშნული შეხვედრა არ შედგა.

გაურკვევლობის შესამცირებლად და საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე აირჩია სახალხო დამცველმა ხუდონჰესი თავისი პირველი დებატის თემად.

28 თებერვალს, სახალხო დამცველმა დებატები გამართა ეროვნულ ბიბლიოთეკაში თემაზე - **ხუდონჰესი: „სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტების“ ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე.**

დებატებზე მოხსენებით გამოვიდნენ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი, გარემოს დაცვის სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსი მაია ბითაძე, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი მაია ლიპარტელიანი და არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ ხელმძღვანელი მანანა ქოჩლაძე. ღონისძიებას დაესწრნენ და დებატებში აქტიურად ჩაერთნენ ხაიშის მოსახლეობისა და ხუდონჰესის საკითხით დაინტერესებული საზოგადოების ნაწილი. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები და სტუდენტები. მოდერატორობა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა გასწია.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელმა მაია ლიპარტელიანმა ვრცელი დასკვნა წარმოადგინა ხუდონჰესის მშენებლობის კანონიერებასა და ადამიანის უფლებების შესახებ. აღნიშნა, რომ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებამდე საჭიროა რამდენიმე არსებითი მნიშვნელობის საკითხის შესწავლა და მოწესრიგება, რათა არ დაირღვეს მესტიის რაიონის ხაიშის თემში მაცხოვრებელთა უფლებები. კერძოდ: საქართველოს მთავრობამ და შესაბამისმა სამინისტროებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ საზოგადოების ადეკვატური, დროული და ეფექტური ინფორმირება გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ჰესის მშენებლობისათვის საჭირო ნებართვების გაცემისას დაცული უნდა იყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების წესი; ადგილობრივ მაცხოვრებელთა განსახლების გეგმის შემუშავება და დამტკიცება უნდა მოხდეს მოსახლეობასთან შეთანხმებით; შეფასდეს ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით და მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილებები ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი პროცედურის დახვეწის მიზნით; ქვეყნის ენერგეტიკული და ეკონომიკური სტრატეგია უნდა შემუშავდეს საზოგადოებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით; ასევე, დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით შეფასდეს ინვესტიციის მიმზიდველობა და შემუშავდეს ეკონომიკური ანალიზი.

შეხვედრამ ხმაურიან ვითარებაში ჩაიარა. გამოიკვეთა ენერგეტიკის სამინისტროსა და მოსახლეობას შორის დიალოგის აუცილებლობა. მინისტრის მოადგილემ ხაიშის თემის წარმომადგენლებს შესთავაზა, შედგეს მცირე ჯგუფი, რომელიც უშუალოდ ჩაერთვება ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოშობილი საკითხების განხილვის პროცესში.

2.2. შრომის უფლებები დაცვას საჭიროებს

6 და 7 თებერვალს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, სახალხო დამცველის მოადგილე პაატა ბელთაძემ და სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული სამმართველოს უფროსმა მიხეილ მინდაძემ ჭიათურისა და ტყიბულის მაღაროები მოინახულეს, ხოლო **27 თებერვალს** კაზრეთის საბადოს გაფიცულ თანამშრომლებთან ჩავიდნენ. პირადად შეხვდნენ დასაქმებულებს და გაეცნენ მათ პრობლემებს. ზოგადი შეფასებით გამოიკვეთა უსაფრთხო გარემოს შექმნის, სოციალური დაცვის მექანიზმების ამუშავების, ადეკვატური ანაზღაურების დაწესებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების აუცილებლობა.

სახალხო დამცველი ჭიათურის მაღაროს თანამშრომლებს შეხვდა

ჭიათურის მარგანეცის მაღაროს თანამშრომელთა განცხადებით, მათ განსაკუთრებულად მძიმე სამუშაო პირობები აქვთ. მაღაროებში არ არის დაცული შრომის უსაფრთხოება, რის გამოც საკმაოდ დიდია სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა რაოდენობა, მხოლოდ გასულ წელს სამი ადამიანი დაიღუპა. თანამშრომლები ზამთრის პერიოდში არ მარაგდებიან თბილი სპეცტანსაცმლით; უკვე წლებია, არ მომხდარა საწარმოს გადაიარაღება და ნედლეულს პრიმიტიული სამუშაო იარაღებით მოიპოვებენ. ამასთან, ჯანმრთელობისათვის საშიშ და მავნე გარემოში არანორმირებული განრიგით უწევთ მუშაობა. როგორც გამოიკვეთა, საწარმოში მცირე ადამიანური რესურსებით არაპროპორციულად დიდი მოცულობის სამუშაო სრულდება, რაც მუშახელის გადატვირთვას იწვევს. მაღაროელთა განცხადებით, ბუნდოვანია ანაზღაურების წესები და პრინციპები; ხშირია ხელფასის დაკლებაც. მაღაროში არ მუშაობს საშხაპეები, მოუწყობელია სასადილო, ხოლო სამედიცინო პუნქტი არ არის იოლად ხელმისაწვდომი.

მაღაროელებისა და ჭიათურის მაცხოვრებლების უკმაყოფილებას ეკოლოგიური გარემოც იწვევს. როგორც აცხადებენ, არც ერთ მაღაროში არ არის დამონტაჟებული გამწმენდი და გამწოვი ფილტრები, რაც ქალაქს და მის შემოგარენს მნიშვნელოვნად აბინძურებს. დაბინძურებულია ასევე, სასმელი წყალიც.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მაღაროებში დასაქმებულთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია სიღრმისეული და სისტემური შესწავლის საგანი უნდა გახდეს. მაღაროების საქმიანობის გარემოზე ზემოქმედება ექსპერტებმა უნდა შეაფასონ და დადგინდეს, რამდენად უზრუნველყოფილია ჭიათურასა და მისი შემოგარენის მაცხოვრებელთა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება.

შეხვედრა ტყიბულელ მემაღაროელებთან

ტყიბულში, მინდელის სახელობის ქვანახშირის მაღაროში დასაქმებულთა განცხადებით, წინა წლებთან შედარებით უსაფრთხოების კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესებულია, თუმცა კვლავ რჩება მთელი რიგი გამოწვევები. მაღაროელთა მთავარი მოთხოვნაა საპენსიო ასაკის შემცირება იმ პირთათვის, რომელთაც განსაკუთრებით მავნე, მძიმე და საშიშ პირობებში უწევთ მუშაობა.

მისასალმებელია, რომ შპს „საქნახშირის“ ადმინისტრაცია უსაფრთხოების საკითხებში სახელმწიფო სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობის მომხრეა.

სახალხო დამცველი აუცილებლად მიიჩნევს შრომის უსაფრთხოების სახელმწიფო მექანიზმის შექმნას და ტექნიკური უსაფრთხოების მეტ ეფექტიანობას. სახალხო დამცველი დეტალურად შეისწავლის მაღაროელთა და მაღაროების მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ პრობლემებს და შედეგების შესახებ რეკომენდაციებს წარუდგენს საქართველოს მთავრობას. ამასთან, სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, გადადგას ქმედითი ნაბიჯები ქვეყანაში შრომის ინსპექციის ან მსგავსი ფუნქციებით აღჭურვილი სახელმწიფო სტრუქტურის შესაქმნელად.

კაზრეთის საბადოს თანამშრომელთა საპროტესტო აქცია

კაზრეთის საბადოს თანამშრომლები პროტესტის ნიშნად 14 თებერვლიდან გაფიცულები არიან, დაბაში დახურულია სავაჭრო ობიექტები, შეწყვეტილია სწავლა. სახალხო დამცველის შეფასებით, სიტუაცია საგანგაშოა და შესაძლოა უმართავი გახდეს, ამიტომ, მთავრობა ვალდებულია ჩაერთოს პროცესში და მხარეებს შორის ვითარების დარეგულირებაში მიიღოს მონაწილეობა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გაფიცულებს კომპანიების Mrg Gold-ის და RMG Copper-ის წინაშე სავსებით ლეგიტიმური მოთხოვნები აქვთ. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ დაბალი ანაზღაურების, საფრთხის შემცველი სამუშაო პირობების, უვარგისი სამედიცინო დაზღვევის, არაჰიგიენური გარემოსა და სხვა უამრავ მიზეზთა გამო. გაფიცულები ასევე, ითხოვენ გათავისუფლებული თანამშრომლების აღდგენას.

სახალხო დამცველთან პირად საუბარში საბადოს თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ადმინისტრაციის მხრიდან ხშირად ყოფილან პატივისა და ღირსე-

ბის შემლახავი მოპყრობის მსხვერპლნი. სახალხო დამცველი შეეცადა, შეხვედროდა კომპანიების წარმომადგენლებს, თუმცა იგი ადმინისტრაციის შენობაში არ შეუშვეს.

3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და შენიშვნები

3.1. რეკომენდაცია მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატზე

3 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, უმოკლეს ვადაში გამოიკვლიოს მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში არსებული დარღვევების საფუძვლები და მათი შემდგომი პრევენციისათვის გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

მარტყოფის შშმ პირთა პანსიონატში მონიტორინგისას, ცნობილი გახდა, რომ დაწესებულებას ერთ თვეზე მეტია არ მიეწოდება სხვადასხვა საკვები პროდუქტები და ბენეფიციარები მხოლოდ ბურღულეულით იკვებებიან. ამასთან, 6 თვეა პანსიონატი არ მარაგდება სუფთა წყლით. შესაბამისად, სათანადოდ არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

პანსიონატში ბენეფიციართათვის არ არის შექმნილი ადეკვატური საცხოვრებელი პირობები. საკვები, ტანსაცმელი, ბინა, სამედიცინო მოვლა და საჭირო სოციალური მომსახურება დაბალი ხარისხის არის და არ აკმაყოფილებს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს.

მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში არსებული მდგომარეობა იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ დაწესებულების ხელმძღვანელობა არ ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

3.2. რეკომენდაცია სასჯელაღსრულების მე-7 დაწესებულებასთან დაკავშირებით

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს №7 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები იმგვარი საცხოვრებელი პირობებით, რომელიც არ შელახავს მათ ღირსებას და საფრთხეს არ შეუქმნის მათ ჯანმრთელობას. ასევე შეისწავლოს არსებული პრობლემები და მიიღოს სათანადო ზომები პატიმრების უფლებების რეალიზების უზრუნველსაყოფად.

სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა მონიტორინგის შედეგად დაადგინა, რომ ირღვევა №7 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების უფლებები. დაწესებულებაში არ არის გამართული სავენტილაციო სისტემა; საკნების ნაწილი ნესტიანია, რაც ფილტვების ტუბერკულოზით დაავადების, ან განმეორებით დაავადების საფრთხეს ქმნის. დაწესებულებაში არ არის სამრეცხაო; პატიმრებს არ აქვთ საკმარისი თბილი ტანსაცმელი; საკნებში არ აქვთ ტუმბოები და თაროები, რის გამოც, პირადი ნივთები და საკვები იატაკზე და საწოლზე უწყვიათ. ირღვევა ჰიგიენური ნორმები.

ცალკეული პატიმრების საცხოვრებელი საკნის ფართობი არ აკმაყოფილებს ეროვნული კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით დადგენილ სტანდარტებს. სასეირნო ეზო მცირე ზომისაა და მასში სათანადოდ ვერ აღწევს მზის სხივები და სუფთა ჰაერი. შეხვედრების ოთახების სიმცირის გამო პატიმრები ვერ ახერხებენ ადვოკატთან დაუბრკოლებლად და შეუზღუდავად შეხვედრას.

როგორც პატიმრები აღნიშნავენ, ადმინისტრაციის წარმომადგენლები მათ მიმართავენ უხეშად და გამომწვევად. მათ განცდებს აძლიერებს ორი პატიმრის სავარაუდო ცემის ფაქტი და ამ ფაქტის მონაწილე დაწესებულების დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა.

პატიმართა თქმით, მცირეოდენი გადაცდომის შემთხვევაშიც კი ეზღუდებათ ტელეფონით სარგებლობის, მიმოწერის, ამანათის მიღების უფლება.

ყოფილა შემთხვევები, როდესაც ტუბერკულოზით დაავადებული პატიმარი ჯანმრთელ პატიმრებთან მოათავსეს. უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირი განათავსეს ვადიან თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებთან ერთად, რაც კანონის დარღვევაა.

პატიმრები აცხადებენ, რომ მათ არ მიუწვდებათ ხელი დროულ და ადეკვატურ სამედიცინო მომსახურებაზე. განსაკუთრებულ პრეტენზიას გამოთქვამენ სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში გამოკვლევებისა და მკურნალობის ჩასატარებლად გადაყვანის გაჭიანურებაზე.

3.3. წინადადება ი.ხ-ს და ი.რ-ს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით

სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №14 (გეგუთის) დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე დაიწყოს გამოძიება და საქმე აწარმოოს საქართველოს პროკურატურამ.

6 თებერვალს საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, №14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მასობრივი პროტესტის შესახებ. იმავე დღეს, პროტესტის გამომწვევი გარემოებების გარკვევის მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულები მივიდნენ დაწესებულებაში, სადაც მოინახულეს და გაესაუბრნენ მსჯავრდებულებს. საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მსჯავრდებულების ი.ტ-ს და ი.ხ-ს მიმართ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. მსჯავრდებულებს სხეულზე დაზიანებების კვალი აღენიშნებოდათ.

სასჯელაღსრულების მე-14 დაწესებულებაში მიმდინარე მოვლენებს სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისის წარმომადგენლები სწავლობენ. თავად სახალხო დამცველი და მისი მოადგილე შეხვდნენ პატიმრებს და მოისმინეს მათი მოთხოვნები. პერიოდულად, მედიის საშუალებით ხდებოდა საზოგადოების ინფორმირება მე-14 დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

3.4. წინადადება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოს მე-3 განყოფილებას

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ხანდაზმული ე.მ განიცდიდა სისტემატიური ხასიათის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ძმისა და მისი ოჯახის მხრიდან. იგი ჩაკეტილი ყავდათ ოთახში, სადაც არ იყო ცხოვრებისათვის ადეკვატური პირობები. ოჯახის წევრები არღვევდნენ ოჯახში ძალადობის ფაქტზე დამტკიცებული დამცავი ორდერით განსაზღვრულ პირობებს. ვიზიტის დროს სოციალური მუშაკი ე.მ-ს მონახულებას მხოლოდ საპატრულო პოლიციის დახმარებით ახერხებდა.

სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოს მე-3 განყოფილებას, ე.მ-ს მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული დამცავი ორდერის პირობების შესრულების შემდგომი მონიტორინგის განსახორციელებლად.

* 10 თებერვალს სახალხო დამცველს შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ, ე.მ-ს აღუდგა ყველა სახის კომუნიკაცია (წყალი, ელექტროენერგია, ოთახთან დამაკავშირებელი კიბე) და მის მიმართ ძალადობას ადგილი აღარ ჰქონია.

3.5. წინადადება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოს

სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოს ეფექტური ღონისძიების გატარების უზრუნველსაყოფად, რათა ი.გ-მ შეძლოს იცხოვროს, იმუშაოს და აღზარდოს შვილები ძალადობისგან თავისუფალ, დაცულ გარემოში.

ი.გ. მუდმივად არის ყოფილი მეუღლის მხრიდან ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის ქვეშ. დაფიქსირებულია ქუჩაში ფიზიკური შეურაცხყოფის არაერთი შემთხვევა. ძალადობა უკვე სამი წელია გრძელდება, მოძალადემ არაერთხელ დაირღვა დამცავი და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული პირობები, თუმცა მხოლოდ ერთხელ იქნა მის მიმართ გამოყენებული ადმინისტრაციული პატიმრობა, რაც ცხადია, ვერ უზრუნველყოფდა მსხვერპლის ეფექტურ დაცვას განმეორებითი ძალადობისგან.

3.6. წინადადება სოფლის მეურნეობის მინისტრს

11 თებერვალს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს და ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება მოითხოვა.

ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორმა არ უზრუნველყო მოქალაქე ლევან ჯაჭვლიანის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა, რითიც უგულებელყო საქართველოს კონსტიტუციისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გარანტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება.

3.7. წინადადება პარლამენტის თავმჯდომარეს "ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონში განსახორციელებელ ცვლილებასთან დაკავშირებით

12 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელ ცვლილებასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველმა მოითხოვა შესაბამისი სასამართლოსთვის მიმართვის უფლება იმ მსჯავრდებულებსაც მიენიჭოთ, რომლებსაც სასჯელის აღსრულება გადაუვადდათ გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის არსებითად გაუმჯობესებამდე.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მსგავსი მსჯავრდებულები უნდა სარგებლობდნენ სხვა მსჯავრდებულების ანალოგიური უფლებით, რაც გულისხმობს მათ თანაბარ პირობებში ჩაყენებასა და მათზე 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის უპირობო გავრცელებას.

3.8. რეკომენდაცია პარლამენტს "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით

19 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პარლამენტს, არ მიიღოს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის გარდამავალი დებულება.

სახალხო დამცველს მიუღებლად მიაჩნია კანონპროექტის გარდამავალი დებულებების თავში მოცემული 32-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრული გარემოებების არსებობისას ითვალისწინებს მოქალაქეობის დაკარგვის დამატებით საფუძველს მხოლოდ იმ პირებთან მიმართებაში, რომლებმაც მოქალაქეობა 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტისგან მიიღეს და უთანაბრდება მოქალაქეობის ჩამორთმევის შემთხვევებს.

3.9. წინადადება საქართველოს პარლამენტს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე

26 თებერვალს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, მომზადდეს კანონპროექტი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფს, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის საკითხის განხილვისას, მოსამართლის ვალდებულებას - სრულყოფილად გაეცნოს სისხლის სამართლის საქმისა და ოპერატიული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაციის მასალებს. ასევე, დაავალდებულებს მოსამართლეს, საკითხის განხილვისას დაკითხოს საგამოძიებო მოქმედებების/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განმახორციელებელი და ამ ქმედებაში მონაწილე სხვა პირები.

ამასთან, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია, ოპერატიული ინფორმაციის შემცველ მასალებს მხოლოდ სასამართლო ეცნობოდეს და ამის შესახებ აღინიშნებოდეს სასამართლო სხდომის ოქმში.

3.10. შენიშვნები საქართველოს პარლამენტს „პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით

საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, კანონპროექტის ზოგიერთი დებულება, განსაკუთრებით კი, კანონპროექტით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებების გამოყენების წესი ხშირ შემთხვევაში შეუსაბამოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებთან. ასევე, სახალხო დამცველის აზრით, მეტ სამართლებრივ სიცხადეს მოითხოვს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულთა კორესპონდენციის ვიზუალური დათვალიერების უფლებამოსილების მინიჭება სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციისთვის; მათ შორის, იმ შემთხვევებშიც, როდესაც საქმე ეხება საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილ კორესპონდენციას.

კანონპროექტით გათვალისწინებული თითოეული სპეციალური საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით კონკრეტული რეკომენდაციები შესთავაზა.

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მზადყოფნას, გადახედოს და ცვლილებები შეიტანოს კანონპროექტის სადავო პუნქტებში.

3.11. შენიშვნები ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით

საქართველოს სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელ უწყებათაშორის საბჭოს სამუშაო დოკუმენტებთან დაკავშირებით თავისი შენიშვნები და რეკომენდაციები გაუგზავნა. საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიესალმა საქართველოს მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილებას, შეიქმნას ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. თუმცა, სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ პროცესის რეალური თანამონაწილეობის უზრუნველსაყოფად, უმჯობესი იქნებოდა, სახალხო დამცველს მისცემოდა საბჭოს სამდივნოს ფარგლებში მომზადებული სამუშაო დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღების, ან სამუშაო დოკუმენტების უფრო ადრეულ ეტაპზე გაცნობის შესაძლებლობა.

წარმოდგენილ სამუშაო დოკუმენტებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ დოკუმენტი

კვლავ საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. კიდევ უფრო მეტი კითხვა ჩნდება საბჭოს სამდივნოს მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სრულად ან მცირედი ცვლილებებით იმეორებს სხვადასხვა სფეროში უკვე არსებულ სამოქმედო გეგმებს და გადაფარვის სერიოზულ საფრთხეს ქმნის.

სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ ის და მისი აპარატი ჩართული იქნება სამუშაო დოკუმენტების გაუმჯობესების პროცესში.

3.12. წინადადება შინაგან საქმეთა მინისტრს

სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, დასაბუთების ევროპული სტანდარტის დაცვით უზრუნველყოს იმ პირებისათვის სათანადო ახსნა-განმარტების მიცემა, რომლებსაც უარი ეთქვათ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე.

რუსეთის მოქალაქე ხაგანი ისმაილოვი დაბადებულია გარდაბნის რაიონის სოფელ აგთალიაში, აქვს საცხოვრებელი სახლი, ჰყავს დედა და ქალიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ისმაილოვმა 2012 წელს მიიღო საქართველოში მუდმივი ბინადრობის მოწმობა, მას 2013 წლის მაისში „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე არ მისცეს საქართველოში შემოსვლის უფლება.

არაბთა გაერთიანებული საემიროების მოქალაქე ხალილ საუდ ალჰლალი უკვე რამდენიმე წელია მეუღლესთან ერთად ცხოვრობს ახმეტის რაიონის სოფელ ძაბახევში და ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. 2013 წლის 2 ივლისს ხალილ საუდ ალჰლალს საქართველოში შემოსვლაზე ეთქვა უარი.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიღებული გადაწყვეტილებებით ჩაერია ხაგანი ისმაილოვისა და ხალილ საუდ ალჰლალის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში.

3.13. მოსაზრება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა მოვალეობის შემსრულებლებად გამოცხადებასთან დაკავშირებით

2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეიტანა დამატება 134[4] მუხლის სახით. აღნიშნული მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე გამოცხადდება დროებით მოვალეობის შემსრულებლად. ისინი უფლებამოსილებას განახორციელებენ შესაბამისი თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე, რაც უნდა მოხდეს არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან 120 დღის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოხელის სამსახურში მიღების ზოგადი წესი გულისხმობს მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე მიღებას განუსაზღვრელი ვადით. განსაზღვრული ვადით ინიშნებიან მხოლოდ დროებით არმყოფი მოხელეების შემცვლელები ან კონკურსის წესით დასანიშნი მოხელის მოვალეობის შემსრულებლები.

დამატების პრაქტიკულად განხორციელების შედეგად, სამსახურში განუსაზღვრელი ვადით მიღებული მოხელეები, ახსნა-განმარტების და გასაჩივრების უფლების გარეშე, გათავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილნი იქნებიან ამავე თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლებად მანამ, სანამ იქ კონკურსის წესით არ დაინიშნებიან მოხელეები.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტმა უგულებელყო არა მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნები, არამედ საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით გარანტირებული უფლებები.

შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რა ობიექტური და გონივრული გამართლება აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლებაში უხეშ და ბლანკეტურ ჩარევას, რაც მოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134[4] მუხლით. ამგვარი განმარტება პარლამენტს არ წარმოუდგენია. თუ კანონმდებელი მიზნად ისახავდა უფრო კვალიფიციური კადრების მოზიდვას, საკმარისი იქნებოდა ატესტაციის ჩატარება, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ნათლად გაწერილი პროცედურაა და მის საფუძველზე გადამოწმდებოდა არსებული კადრების შესაბამისობა სამსახურის მოთხოვნებთან.

4. საკონსტიტუციო სარჩელი

4.1. საკონსტიტუციო სარჩელი სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მეორე ნაწილთან დაკავშირებით

18 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე

მუხლის მეორე ნაწილის სიტყვების „ან კანონიერ მფლობელობაში“ არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა.

სადავო აქტი განსაზღვრავს ქონების ჩამორთმევას მფლობელისთვის მესაკუთრის ქმედების მიუხედავად. კანონის აღნიშნული ჩანაწერი მესაკუთრეს არ უტოვებს სამართლებრივ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც, იგი შეძლებდა საერთო სასამართლოებში თავისი კანონიერი ინტერესების დაცვას. ქონების მესაკუთრე, რომლის ქონებაც იქნა ჩამორთმეული, არ არის უფლებამოსილი მიმართოს საერთო სასამართლოებს და დარღვეული უფლებების აღდგენა მოითხოვოს.

5. მიმდინარე მოვლენები

5.1. ქუთაისის მიუსაფართა თავშესაფარში

6 თებერვალს სახალხო დამცველმა ქუთაისის მიუსაფართა თავშესაფარი მოინახულა და იქ არსებულ პირობებს გაეცნო. დღეისათვის თავშესაფარში 7 ბენეფიციარია მოთავსებული.

მთლიანობაში მდგომარეობა სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა. თავშესაფრის ბინადრები უზრუნველყოფილი არიან საკვებით, ტანსაცმლითა და გათბობით. თუმცა, აუცილებელია მოხდეს კარვების სათანადოდ გადახურვა, რადგან არსებული სახურავი დაზიანებულია და წვიმის დროს საკმარისად ვერ იცავს თავშესაფარში მოთავსებულთ. აქვე აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარები თავშესაფარში უყურადღებოდ არიან მიტოვებული და მათთან არ იმყოფება ადგილობრივი თვითმმართველობიდან სპეციალურად მიჩენილი მეთვალყურე.

5.2. შეხვედრა ქუთაისში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

შეხვედრა ქუთაისის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

7 თებერვალს სახალხო დამცველი ქუთაისში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე სახალხო დამცველმა ისაუბრა ომბუდსმენის აპარატისა და იმერეთის რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციათა თანამშრომლობის აუცილებლობაზე, რეგიონული ოფისების საქმიანობის გაძლიერების გეგმებსა და პერსპექტივებზე.

მოწვეულმა სტუმრებმა თანამშრომლობის დიდი სურვილი გამოთქვეს და სახალხო დამცველს საკუთარი წინადადებები და რეკომენდაციები შესთავაზეს. შეხვედრაზე განიხილეს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული ვითარება, მონიტორინგის საბჭოს შექმნის აუცილებლობა, დევნილთა, ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები, თვითმმართველობებში მიმდინარე მოვლენები, მედიის თავისუფლების საკითხი და რეგიონისათვის დამახასიათებელი სხვა პრობლემები.

5.3. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო

საბჭოს ფარგლებში შექმნილია რამდენიმე სამუშაო ჯგუფი, რომელთა საქმიანობაში საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად მონაწილეობს. **11 თებერვალს** გაიმართა პენიტენციური სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც სახალხო დამცველმა წარადგინა შენიშვნები „პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის შენიშვნები კანონპროექტის 57[1] მუხლით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებების გამოყენებისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულთა კორესპონდენციის შემოწმების წესებსა და მათ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას შეეხებოდა.

5.4. შეხვედრა 182-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან

13 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრთან არსებულმა მრჩეველთა ახალგაზრდულმა საბჭომ შეხვედრა გამართა თბილისის 182-ე საჯარო სკოლის უფროსკლასელ მოსწავლეებთან. შეხვედრის თემა იყო კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები და მათი ურთიერთობა თანატოლებთან.

საბჭოს წევრებმა სკოლის კომპიუტერულ ცენტრში შეკრებილ უფროსკლასელებს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრისა და მრჩეველთა ახალგაზრდული საბჭოს საქმიანობა გააცნეს. შემდეგ კი წარუდგინეს პრეზენტაცია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანების სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებისა და მათი უფლე-

შეხვედრა 182-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან

ბრივი მდგომარეობის შესახებ. ბავშვებმა ისაუბრეს სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის თემაზე, არასრულწლოვანთა დანაშაულის სოციალურ და სხვა გამომწვევ ფაქტორებზე, დანაშაულის პრევენციის აუცილებლობასა და სირთულეებზე; არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე. არასრულწლოვანთა განათლების, მათი ინფორმირებულობის, თავისუფალი დროის სწორად დაგეგმვის, მოქალაქეობრივი მენტალობის ჩამოყალიბების, უფროსი თაობის მხრიდან მათთან სწორი ურთიერთობების აუცილებლობის, მათთვის ჯანსაღი ფსიქოლოგიური გარემოს შექმნის საჭიროების საკითხებზე.

5.5. შეხვედრა თომას ჰამარბერგთან

თომას ჰამარბერგი და უჩა ნანუაშვილი

13 თებერვალს სახალხო დამცველი საქართველოში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს თომას ჰამარბერგს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქვეყანაში ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ მდგომარეობას, უფლებათა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. სახალხო დამცველმა ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის და განაჩენთა გადახედვის მექანიზმის შექმნის საკითხიც განიხილა. ასევე განიხილეს პატიმართა უფლებები, მათ შორის უვადო მსჯავრდებულების საკითხი; ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი; ადამიანის უფლებების მდგომარეობა კონფლიქტურ რეგიონებში.

5.6. მოწოდება საქართველოს შს სამინისტროს

სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ დაუშვას საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევა.

საქართველოს მოქალაქე საიხან მუზაევმა 2014 წლის იანვრის თვეში სამჯერ სცადა საქართველოს დატოვება ინგლისში გასამგზავრებლად, მაგრამ საზღვარზე არ გაუშვეს.

სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ ინფორმაცია მოითხოვა, თუმცა, შესაბამისი უწყებებიდან დღემდე ახსნა-განმარტება არ მიუღია.

5.7. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

19 თებერვალს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა, სადაც სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ნინო ათაბეგაშვილმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები წარმოადგინა.

მონიტორინგი არასრულწლოვანთა მე-11, მე-8 (თბილისი), მე-2 (ქუთაისი) სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ასევე თბილისისა და ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორებში გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაციისა და ადამიანური რესურსის სიმწირის, არასრულწლოვანთა განათლების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების ეფექტურობისა და არასრუწლოვანი პატიმრების სრულწლოვან პატიმრებისგან იზოლაციის პრობლემა.

5.8. შეხვედრა ევუთოს უმაღლეს კომისართან

19 თებერვალს სახალხო დამცველი ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ევუთოს უმაღლეს კომისარს ასტრიდ თორსს და დელეგაციის წევრებს შეხვდა.

შეხვედრაზე მიმოიხილეს ეთნიკურ უმცირესობათა, მათ შორის კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა. სახალხო დამცველი ეუთოს უმაღლეს კომისარს იმ საქმიანობის შესახებაც ესაუბრა, რომელსაც აფხაზ და ოს ხალხთან ურთიერთობის გაღრმავების მიზნით ომბუდსმენის ოფისი ახორციელებს.

მოგვიანებით ეუთოს უმაღლეს კომისარს და მის მრჩევლებს ვინსენტ დე კრაფტსა და კაუპო კანდს სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობის საბჭოს წარმომადგენლები შეხვდნენ. უმაღლესი კომისარი დაინტერესდა, ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის ხარისხით შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესში; რა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები აქვთ საბჭოს წევრებს მთავრობისადმი მომავალ სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებლად.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მცირე ჯგუფებისათვის მშობლიური ენის სწავლების პრობლემებს, ინტეგრაციის საკითხებსა და ბილინგვურ განათლებას.

5.9. შეხვედრა სახელმწიფო მინისტრთან პაატა ზაქარეიშვილთან

19 თებერვალს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს შეხვედრა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან პაატა ზაქარეიშვილთან, პრემიერ-მინისტრის მრჩეველთან ადამიანის უფლებების დარგში თამარ ჩუგოშვილთან და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან.

რელიგიათა საბჭოს წევრებმა წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იმ ცვლილებების შესახებ, რაც უშუალოდ რელიგიურ უმცირესობებს უკავშირდება - კერძოდ: უწყებათაშორისი სამთავრობო კომისიის შექმნა, რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისა და რელიგიის საკითხთა სააგენტოს შექმნის შესახებ სამთავრობო დადგენილებები.

5.10. შეხვედრა მოშიმშილეებთან

21 თებერვალს სახალხო დამცველი მერიის საგანგებო სიტუაციების სამსახურის მოშიმშილე თანამშრომლებს შეხვდა და პირადად მათგან მოისმინა, თუ რა პრობლემები ექმნებათ უწყებაში მუშაობისას. სახალხო დამცველის განცხადებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ათი დღის განმავლობაში ქალაქის ხელმძღვანელობა არ დაინტერესებულა მოშიმშილეთა მოთხოვნებით. უჩა ნანუაშვილი აუცილებლად მიიჩნევს დამსაქმებლებსა და მოშიმშილეებს შორის დიალოგის დაწყებას. სახალხო დამცველის აპარატი შეისწავლის საკითხს და დასკვნას უახლოეს პერიოდში წარმოადგენს.

5.11. 21 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე საკუთარი აზრი გამოხატა

“არ შემიძლია არ გამოვეხმაურო უკრაინაში მიმდინარე უკიდურესად შემაშფოთებელ მოვლენებს. ჩვენ თვალწინ ყოველდღე ფეხქვეშ ითელება ცივილიზებული სამყაროს უდიდესი მონაპოვარი - ადამიანის უფლებები. მაშინ, როდესაც სახელმწიფო უნდა იყოს ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარი გარანტორი, დღეს უკრაინაში სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლები გვევლინებიან ამ უფლებების მთავარ დამრღვევად.

მომიტინგეების მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე, სახელმწიფოს მხრიდან ძალის გადამეტებით პასუხი სცდება საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებათა სტანდარტებს. დაპირისპირების შემდგომი ესკალაციისა და პროცესების უმართავობის საფრთხე დღითიდღე იზრდება, რასაც შესაძლოა ქვეყნისთვის გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს. საკუთარი მოქალაქეების ყველაზე წარუვალი უფლების - სიცოცხლის უფლების დაცვა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა და განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს ის, რომ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები სასიკვდილო ძალის გამოყენებით უსწორდებიან საკუთარ მოქალაქეებს.

უკრაინელი ერის ისტორიის ამ მეტად მძიმე წუთებში მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებას აქვს საუკეთესო საშუალება, უთხრას არა ძალადობას, დაპირისპირებასა და ხალხის ნების თავისუფლად გამოვლენის შეზღუდვას. ვიმედოვნებ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით და თანადგომით, უკრაინელი ხალხის შინაგანი სიმტკიცისა და გონიერების დახმარებით, სისხლისღვრა მალე შეჩერდება და ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველა ფაქტი სათანადოდ იქნება გამოძიებული.

ვუსამძიმრებ თითოეული დაღუპულის ოჯახს, უკრაინელ ხალხს. ვუსამძიმრებ საქართველოს დაღუპული მოქალაქეების ოჯახებს.”

5.12. ბავშვის უფლებების ცენტრის შეხვედრები ოზურგეთში

ბავშვის უფლებების ცენტრის უფროსი მაია გედევანიშვილი და მართლმსაჯულების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი მაია ლიპარტელიანი ოზურგეთის არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა“ მიიწვია. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ორგანიზაციის ბაზაზე არსებული ლიდერთა სკოლისა და რეგიონული ახალგაზრდული პარლამენტის წევრებთან ისაუბრეს თემში ბავშვის უფლებების დარღვევებზე.

ბავშვის უფლებების ცენტრის შეხვედრები ოზურგეთში

ოზურგეთში ვიზიტისას სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ტელეკომპანია „გურიას“ გადაცემაში, რომელიც ბავშვთა შრომას მიეძღვნა. ყველაზე მწვავე საკითხი აღმოჩნდა ადგილობრივი თემის არასრულწლოვანთა შრომა საზღვარგარეთ - თურქეთში, ჩაისა და თხილის პლანტაციებში. გადაცემა ეთერში **20 თებერვალს** 22 საათზე გავიდა.

5.13. ოსური ფორუმი

26 თებერვალს სახალხო დამცველი და სახალხო დამცველის მოადგილე ოსური ფორუმის სამუშაო ჯგუფს შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები. საუბარი შეეხო ეთნიკურად ოსი სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას, ეროვნული გამოცდების ოსურ ენაზე ჩატარებასა და ოსური ენის სწავლების საკითხს. გადაწყდა, რომ სახალხო დამცველის ოფისი და ოსური ფორუმი გააგრძელებენ მუშაობას იმისათვის, რომ ოსურ ენის სწავლება აღდგეს საქართველოს სამ სკოლაში. ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ოს მოქალაქეებს მიეცეთ საშუალება გამარტივებული წესით ჩააბარონ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

6. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების საქმიანობა

6.1. რეგიონებში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი

მიმდინარე წლის თებერვალში 6 რეგიონში: სამცხე-ჯავახეთში, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და აჭარაში საწყის ეტაპზე იდენტიფიცირებული იქნა 12 სოფელი, სადაც განსაკუთრებით მწვავედ დგას სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით, დაგეგმილია გასვლითი ვიზიტები რეგიონული რწმუნებულების მონაწილეობით, რომლის შედეგადაც მომზადდება შესაბამისი რეკომენდაციები განათლების უფლების, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის, სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

7. სხვა სიახლეები

7.1. პრესკონფერენცია იანვრის თვის საქმიანობასთან დაკავშირებით

5 თებერვალს სახალხო დამცველმა იანვრის თვეში აპარატის საქმიანობის ანგარიშთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა. აპარატის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის მიზნით, სახალხო დამცველი ჟურნალისტებს ყოველი თვის დასაწყისში შეხვდება.

პრესკონფერენციაზე სახალხო დამცველმა ოცამდე კითხვას გასცა პასუხი. ჟურნალისტებს აინტერესებდათ ომბუდსმენის პოზიცია „პატიმრობის კოდექსში შესატან ცვლილებებთან“ დაკავშირებით; ეკომიგრანტების მდგომარეობა; ლაფანყურის საბჭოს საქმიანობის ეტაპები; პატიმართა წამების ფაქტების გამოძიების მიმდინარეობა.

7.2. სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ლოპოტაზე

8-9 თებერვალს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის უფროსმა ნათია ფირაშვილმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში. ჯგუფმა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის საფუძვლებზე იმუშავა.

7.3. კონკურსი „მე-ომბუდსმენი 2013“ დასრულდა

კონკურსი „მე-ომბუდსმენი 2013-ის“ გამარჯვებულები

10 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა საქართველოში სამართლებრივ და კონსტიტუციურ საკითხებსა და ადამიანის უფლებებში ბატონმა თომას ჰამარბერგმა კონკურსის „მე-ომბუდსმენი 2013“ გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოეს.

კონკურსში „მე-ომბუდსმენი 2013“ პირველი ადგილი ფოთის №15 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მეგი წურწუმიამ და ნათია ინაძემ დაიკავეს (გუნდი „მეგნათი“); მეორე ადგილზე გავიდნენ მარიამ ფირცხალაიშვილი, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის №1 საჯარო სკოლისა და ხატია ზუხუბაია, ბათუმის №16 საჯარო სკოლის მოსწავლეები (გუნდი „ინდიგო“); მესამე ადგილი სამტრედიის №10 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა თეონა ზაქარეიშვილმა და ალეკო კაცაძემ მოიპოვეს (გუდი „law and we“). გამარჯვებულებმა კომპიუტერული კომპანია „ალტას“ სასაჩუქრე ბარათები მიიღეს.

კონკურსი „მე-ომბუდსმენი“ 2013 წელს მეოთხედ გაიმართა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 466 გუნდმა - 932 მოსწავლემ.

7.4. თებერვლის თვეში განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეზიდენტული დაწესებულებების არაგებგმური მონიტორინგი:

6 თებერვალი - თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი;

12 თებერვალი - სენაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლი;

14 თებერვალი - ძევრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი.

7.5. დისკუსიები „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ გაეროს კონვენციასთან დაკავშირებით

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ კონვენციის პრეზენტაციისა და დისკუსიების მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრმა **12-დან 21 თებერვლამდე** შეხვედრები გამართა საქართველოს 5 რეგიონში მოქმედ 65 არასამთავრობო ორგანიზაციასა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან.

შეხვედრებზე შეთანხმდნენ, რომ 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის სტრუქტურად უნდა განისაზღვროს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი.

დისკუსიების შედეგად შემუშავებული მექანიზმის საბოლოო ვერსია გადაეგზავნება საქართველოს მთავრობას.

7.6. კამპანია „მილიარდი ამბოხებული სამართლიანობისათვის“

14 თებერვალს სრულიად მსოფლიო გაერთიანდა გლობალური კამპანიის „მილიარდი ამბოხებული სამართლიანობისათვის“ ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატად.

საქართველოში უკვე მეორედ აღინიშნა ეს დღე და საზოგადოება მშვიდობიანი პერფორმანსის გზით შეუერთდა მსოფლიო ძალისხმევას სამართლიანობის აღდგენის, ძალადობის დაგმობისა და გენდერული თანასწორობისთვის.

სახალხო დამცველმა თავის განცხადებაში აღინიშნა, რომ დღეს, როცა მრავალი ქალი - შევიწროებული და დამცირებული, ცხოვრობს ძალადობრივ გარემოში, მნიშვნელოვანია მშვიდობიანი ფორმებით დავგმოთ ძალადობა, გამოვხატოთ თანადგომა და გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

7.7. ტრენინგი პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტებისათვის

15-16 თებერვალს, ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა“ დაფინანსებით ჩატარდა ტრენინგი პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტებისათვის. ტრენინგი მიზნად ისახავდა თავისუფლების აღკვეთის და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მონიტორინგის ეფექტიანობის გაზრდას.

ტრენინგზე განიხილეს პენიტენციალურ სისტემაში მონიტორინგის დახვეწის მეთოდოლოგია, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციები; ექსპერტების უფლებები და მოვალეობები, მათთან თანამშრომლობის წესები და პირობები; ასევე, ქცევის კოდექსი.

ხაზი გაესვა მონიტორინგის მისიის წარმატებით შესრულებისთვის საჭირო ღონისძიებებს. მონაწილეებს ჩაუტარდათ პრაქტიკული სამუშაო.

7.8. საინფორმაციო შეხვედრა კაბალში: ადრეული ქორწინების შედეგად გამოწვეული პრობლემები და პრევენციის გზები

22 თებერვალს ლაგოდეხის რაიონის, სოფელ კაბალის №1 საჯარო სკოლაში, სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ადრეული ქორწინების თემაზე უფროსკლასელებთან საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარა.

განიხილეს ადრეული ქორწინების გახშირებული შემთხვევები და არსებული პრობლემების გადაჭრის გზები. მოსწავლეთა ინფორმაციით, იანვრის თვეში 3 არასრულწლოვანი გოგონა მოიტაცეს, ხოლო ბოლო თვეების განმავლობაში ადრეული ქორწინების რიცხვი 20-ზე მეტია. ძირითად იძულებითი ქორწინების ინიციატორები მშობლები არიან.

შეხვედრაზე სამართალდამცავთა გულგრილობასა და მშობლებთან საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობაზეც ისაუბრეს. დისკუსიის ნაწილი დაეთმო საქართველოში არსებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს, ასევე სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობას.

7.9. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილება

27 თებერვალს სახალხო დამცველის წარმომადგენელი ილია ჭანტურაია საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებაში გამართულ შეხვედრას დაესწრო. განიხილეს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილება, ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული ყველა მოხელის შრომით უფლებასთან დაკავშირებით.

7.10. შეხვედრა კონფლიქტების მოგვარებასა და ტრანსფორმაციაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

28 თებერვალს სახალხო დამცველი სამუშაო რეჟიმში შეხვდა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც აქტიურად მუშაობენ კონფლიქტების მოგვარებისა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით. შეხვედრისას განიხილეს სახალხო დამცველის ახალი ინიციატივები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებები კონფლიქტების მოგვარებაში ომბუდსმენის როლის შესახებ.

8. სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები

8.1. ქალთა ისტორიის თვისადმი მიძღვნილი რეგიონული შეხვედრები „უფლებებია ჩემი ყვავილები“

4-7 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ორგანიზებითა და USAID-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებთან თანამშრომლობით, ჩატარდება რეგიონული შეხვედრები „უფლებებია ჩემი ყვავილები“.

შეხვედრები სიმბოლურად საქართველოს 8 რეგიონში გაიმართება და მისი მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე. დაგეგმილია მონაწილეთათვის ინფორმაციის მიწოდება ქალთა საერთაშორისო დღის ისტორიასა და არსზე, ფილმის ჩვენება და დისკუსია. შეხვედრას დაესწრებიან გენდერული თანასწორობის საკითხებით დაინტერესებული მოსწავლეები, სტუდენტები, სათემო ლიდერები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წევრები.

შეხვედრები ჩატარდება USAID-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებში, შემდეგი განრიგით: **4 მარტი** - მარნეული, თელავი; **5 მარტი** - გორი, ახალციხე; **6 მარტი** - ქუთაისი, ოზურგეთი; **7 მარტი** - ბათუმი, ზუგდიდი.

8.2. სახალხო დამცველის და გაეროს ერთობლივი პროგრამა დევნილი შშმ ქალების უფლებების შესახებ

5 მარტს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი დევნილი შშმ ქალების (გოგონების) უფლებების

კვლევისა და შშმ ქალის - მშობლის უფლებების საკითხებზე ანალიზის შედეგების შესახებ პრეზენტაციას გამართავს.

9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

9.1. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში შესაძლებელი გახდება ინდივიდუალური საჩივრების მიღება

მას შემდეგ, რაც ათმა ქვეყანამ მოახდინა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის კომუნიკაციის პროცედურების შესახებ დამატებითი ოქმის რატიფიკაცია, ბავშვებს, რომელთა უფლებებიც დაირღვა, ასევე მათ წარმომადგენლებს, შესაძლებლობა მიეცემათ საჩივრით მიმართონ ბავშვის უფლებათა კომიტეტს. იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტი აღმოაჩენს დარღვევას, ის რეკომენდაციით მიმართავს სახელმწიფოს, მიიღოს ზომები სიტუაციის გამოსასწორებლად.

დამატებითი ოქმი შესაძლებლობას მისცემს ბავშვებს მიმართონ კომიტეტს მას შემდეგ, რაც ამოწურავენ სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივ საშუალებას. კომიტეტს ექნება დაცვის საშუალებები იმისათვის, რომ გამორიცხოს ბავშვით მანიპულაცია ან მისი გამოყენება საჩივრის წარდგენისას.

საკითხის განხილვისას კომიტეტი მხედველობაში მიიღებს ბავშვის მოსაზრებებს. კომიტეტმა შესაძლოა სახელმწიფოებს მოსთხოვოს დროებითი ღონისძიებების მიღება, რომ გამორიცხოს რეპრესიები. თუ კომიტეტი აღმოაჩენს დარღვევას, იგი გამოსცემს რეკომენდაციას, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო იქნება წევრი სახელმწიფოსთვის.

9.2. ევროსასამართლოს გადაწყვეტილება – ტალი ესტონეთის წინააღმდეგ

2014 წლის 13 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ტალი ესტონეთის წინააღმდეგ (Tali v. estonia, application no. 66393/10), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა დაადგინა. გადაწყვეტილებაში, რომელიც ციხის თანამშრომლების მხრიდან თავისუფლებააღკვეთილი პირის მოპყრობას შეეხებოდა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სპეციალური საშუალებების გამოყენების მიზნობრიობაზე და იმ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტანჯვაზე, რაც აღნიშნული საშუალებების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ **დაუშვებელია დახურულ სივრცეში წიწაკის გაზის გამოყენება.**

ძირითადი ფაქტები

2009 წლის 3 ივლისს ესტონეთის ერთ-ერთი ციხის პატიმარმა უარი განაცხადა ციხის ადმინისტრაციის ბრძანების შესრულებაზე, რის შემდეგაც მის წინააღმდეგ ციხის თანამშრომლებმა სპეციალური საშუალებები: ფიზიკური ძალა, წიწაკის გაზი და დამაწყნარებელი საწოლი გამოიყენეს.

სასამართლოს გადაწყვეტილება

საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შემდეგ სასამართლომ აღნიშნა, რომ წარსულში განმცხადებლის აგრესიული ქცევიდან გამომდინარე, ციხის ადმინისტრაციას ჰქონდა საფუძველი ეზრუნა სხვა პატიმრების უსაფრთხოებაზე.

ამასთან, სასამართლომ გაიზიარა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) მიდგომა, რომ წიწაკის გაზი არის პოტენციურად საშიში ნივთიერება, რომელიც არ უნდა იქნეს გამოყენებული დახურულ სივრცეში და იმ პატიმრის წინააღმდეგ, რომელიც უკვე კონტროლის ქვეშ იმყოფება. წიწაკის გაზმა შეიძლება სერიოზული გავლენა იქონიოს ჯანმრთელობაზე, გამოიწვიოს სასუნთქი მილების და თვალების გაღიზიანება, სპაზმი, ალერგია, ძლიერი დოზით გამოყენების შემთხვევაში კი — ფილტვების შეშუპება ან შინაგანი სისხლდენა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ დახურულ სივრცეში წიწაკის გაზის გამოყენება იყო დაუსაბუთებელი და წარმოადგენდა არაადამიანურ მოპყრობას.

სასამართლომ დასაბუთებულად არ მიიჩნია დამაწყნარებელი საწოლის გამოყენება და ხაზი გაუსვა, რომ დაუშვებელია შემაკავებელი ზომების, როგორც პატიმრების დასჯის საშუალების გამოყენება. სასამართლოს განმარტებით, ამგვარი ზომების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ თვითდაზიანების ან სხვა პირების წინააღმდეგ სერიოზული საფრთხის თავიდან ასაცილებლად და ციხის უსაფრთხოებისათვის. სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ განმცხადებელი საფრთხეს უქმნიდა საკუთარ თავს ან სხვებს, რაც მის წინააღმდეგ დამამშვიდებელი საწოლის გამოყენების ლეგიტიმურობას დაასაბუთებდა.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

10.1. სახალხო დამცველის აპარატმა დაიწყო მუშაობა საპარლამენტო ანგარიშზე - ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2013 წელი;

10.2. განახლდა სახალხო დამცველის აპარატის ვებ-გვერდი www.ombudsman.ge საიტს დაემატა ფუნქციები; ინფორმაციულად უფრო დატვირთული, საინტერესო და სასარგებლო გახდა.

10.3. 2014 წლის თებერვლიდან სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტში მუშაობა დაიწყო ეროვნულმა კონსულტანტმა ქალთა უფლებებზე - ანა ლობჟანიძემ.

10.4. გამოცხადდა ორი ვაკანსია ბავშვის უფლებათა ცენტრის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.

10.1. თებერვალში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 597 განცხადება, რომელიც მოქალაქეთა მიღების დეპარტამენტმა განიხილა და გადაანაწილა შემდეგნაირად:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი — 191
- მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 167
- რეგიონული სამმართველო — 120
- ბავშვთა ცენტრი — 33
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 13
- შ.შ.მ. პირთა ცენტრი — 14



11. კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ; 577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
თეა ბაციკაძე